საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01\29

ქ. ბათუმი

28 ივნისი, 2021 წ

იაკინთე ჩხარტიშვილის ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურად იაკინთე ჩხარტიშვილის შერჩევის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 28 ივნისის №06-01/57 დადგენილებისა და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის 2021 წლის 28 ივნისის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (№1) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 28 ივნისის N06-01/57 დადგენილებით შერჩეული იაკინთე ჩხარტიშვილის კანდიდატურა (22-წევრიანი წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობის მიერ 2021 წლის 28 ივნისის სხდომაზე/არჩევნებში მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებიდან 16 ხმით).
2. იაკინთე ჩხარტიშვილმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 4-წლიანი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 2021 წლის 29 ივნისიდან.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ყველა სტრუქტურულ ერთეულს და იაკინთე ჩხარტიშვილს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**